საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-365

ქ. თბილისი

01/05/2019

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცაიშში ფ/პ ზაზა გვათუას სასათბურე მეურნეობისთვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ ზაზა გვათუას მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია, სასათბურე მეურნეობისთვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სასათბურე მეურნეობა მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ცაიშში 2798 $მ^2$ ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 43.20.42.114). წყალაღება დაგეგმილია მდ. ჯუმიდან, რომელიც სასათბურე მეურნეობიდან დაშორებულია დაახლოებით 200 მეტრით. წყალაღების ადგილის GPS კოორდინატებია: X – 731014; Y – 4700976. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 25 მეტრით.

სასათბურე მეურნეობა მოიხმარს წელიწადში 180 $მ^3$ წყალს. წყალაღებისთვის გამოყენებული იქნება დენის წყაროზე მომუშავე ტუმბო, რომლის ამოტუმბვის სიჩქარეა 1.5 $მ^3$/სთ. საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება 1 ტ ტევადობის მქონე რეზერვუარი, რომელიც 215 მ სიგრძის, 30 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილის საშუალებით დაკავშირებული იქნება ტუმბოსთან. რეზერვუარიდან მოხდება ბოსტნეული კულტურების მორწყვა.

საქმიანობის მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით სამელიორაციო სისტემის მოწყობის პროცესში მძიმე ტექნიკის გამოყენების საჭიროება არ არსებობს. სამშენებლო მოედნის ან/და ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის.

ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და მცენარეულ საფარაზე მოსალოდნელი არ არის. მილი განთავსდება სანიაღვრე არხის ტრანშეაში, შესაბამისად ახალი თხრილის გაკეთება არ არის გათვალისწინებული.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, სარწყავის (სამელიორაციო სისტემის) მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს, თუ უზრუნველყოფილი იქნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცაიშში ფ/პ ზაზა გვათუას სასათბურე მეურნეობისთვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ ზაზა გვათუა ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ ზაზა გვათუას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ ზაზა გვათუას მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი